ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/04

ქალაქ ქედა, 29 აპრილი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო: 13:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 14:20 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 აპრილი 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კორონა ვირუსის საქართველოში გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომების და რჩევების გათვალისწინებით მიმდინარეობს მუშაობა ქედის მუნიციპალიტეტში. დაწყებულია მაღალი რისკის ჯგუფებში შემავალი პირებისათვის - ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სოციალურად დაუცველებისა და მარტოხელა პენსიონერებისათვის სასურსათო კალათების გადაცემა, რომელიც შემდეგშიც გაგრძელდება.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოს №01-06/04 სხდომა უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის 31 მარტს, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ, მიზანშეწონილი გახადა სხდომა გადადებულიყო. შესაბამისად საკრებულოს სხდომა ტარდება 2020 წლის 29 აპრილს იგივე დღის წესრიგით, რაც იყო დამტკიცებული 2020 წლის 27 მარტის №01-07/04 ბიუროს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში არსებული მდგომარეობა იძლევა საშუალებას სხდომა ჩატარდეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5.სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

სხდომის თავჯდომარე შუქრი თურმანიძემ განმარტა, რომ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, მიმდინარე პერიოდში საჭირო გახდა გარკვეული საკითხების დამატება სხდომაზე განსახილველად, რომელიც ინციირებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შესაბამისად წარმოადგინა ახალი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2.„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5. სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

7. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ თითოეულ აღსაზრდელზე განკუთვნილი სურსათის პროდუქტების მათზე გაცემის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

8. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ და განაცხადა, რომ ვინაიდან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შედეგად შექმნილია ეკონომიური კრიზისი, ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნდა საკრებულოს სხდომის შეკრების აუცილებლობა მომხდარიყო მხოლოდ მოსახლეობის ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის მიზნით, ამიტომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის აუცილებლობას ვერ ხედავდა, რის შემდეგ 13:10 საათზე ვაჟა ბოლქვაძემ და ბაქარ ბარამიძემ სხდომა დატოვეს.

საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრებს არ აინტერესებთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და პოპულისტური განცხადებებით ცდილობენ მოსახლეობას თავი დაამახსოვრონ, მაგრამ საქართველსო ხელისუფლება, აჭარის არ მთავრობა და ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებს ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ასევე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არაერთი ღონისძიება ჩატარდა და ისევ გაგრძელდება დახმარების პროგრამები, შესაბამისად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობას პანდემიის პერიდოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები არ შეექმნათ. აქედან გამომდინარე მიზანშუწონელია ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებები და მათზე დროის დახარჯვას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 აპრილის №01-06/04 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი დამატებით განსახილველი საკითხების გათვალისწინებით.

1. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, იცვლება დადგენილებით დამტკიცებული დანართის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი და ასევე ემატება პუნქტი: „საკრებულოს, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" და წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, ფორსმაჟორული სიტუაციის (დაუძლეველი ძალის) არსებობისას, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით." აღნიშნული ცვლილება, საშუალებას იძლევა, საგანგებო მდგომარეობის დროს, მათ შორის

ეპიდემიის საფრთხით გამოწვეული მდგომარეობის გამო, საკრებულოს შეეძლოს დისტანციური ფორმით სხდომის ჩატარება (შიდა დოკუმენტი №57-04 26.03.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილებ №14).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის იურიდული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2020 წლის 18 თებერვლის კანონის (N5717-IIს) საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი. აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირებს ქონდათ მოხელის სტატუსი (ეკავათ მოხელის თანამდებობა). „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2020 წლის 18 თებერვლის კანონის (N5717-IIს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ცალსახად დადგინდა, რომ ,,მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად“ (შემოსული დოკუმენტი №32/04 25.03.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №15).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის იურიდული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2020 წლის 18 თებერვლის კანონის (N5717-IIს) საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირებს ქონდათ მოხელის სტატუსი (ეკავათ მოხელის თანამდებობა). „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2020 წლის 18 თებერვლის კანონის (N5717-IIს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ცალსახად დადგინდა, რომ ,,მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად."

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. ამ შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული პოზიციების გარდაქმნის შემდეგ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა აღემატება დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა საჯარო სამსახურის ბიუროს გამონაკლისის დაშვების მიზნით რეკომენდაციის გაცემის შესახებ. რომლის თაობაზეც გაიცა სსიპ - „საჯარო სამსახურის ბიურო"-ს 2020 წლის 5 მარტის №გ1783 რეკომენდაცია (რომელიც დანართად განმარტებით ბარათს თან ერთვის).

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-25 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“ ხოლო და მე-2 პუნქტის შესაბამისად პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით (შემოსული დოკუმენტი №32/04 25.03.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №10).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომლის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას. ასევე განმარტა, რომ მინი სპორტული მოედნების გამართული და ეფექტური მუშაობისათვის (მოქმედებისათვის) მათი შემდგომი ექსპლუატაციის, მოვლა-პატრონობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით მიზანშეწონილა ამ ეტაპზე 5 (ხუთი) ერთეული მოედნის, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 2838.0 კვ.მეტრს, ხოლო საბალანსო ღირებულება 234 227.32 ლარს სარგებლობის - უზუფრუქტის უფლებით გადაცემული იქნას

ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ზე, რაც დადებითად წაადგება სპორტული ღონისძიებების ჩატარებას (შემოსული დოკუმენტი №22/04 28.02.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №11).

5. მოისმინეს: სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წარუდგინა სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-ს 2019 წლის 13 სექტემბრის №LA7 19 00024299 წერილობითი მოთხოვნა ფართის გადაცემის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუქტების შესაბამისად სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ.№2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 17.1 კვ.მ. (ს/კ21.03.35.008.01.503) სსიპ - „იურიდიული დახმარების სამსახური“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს. (შემოსული დოკუმენტი №28/04 20.03.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №12).

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ სხდომას წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის დასახლება) მუნიციპალური ბიუჯეტით მოეწყო და რეგისტრირებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებად ავტომობილების პარკირების ტერიტორია, სადაც დამონტაჟებულია დისტანციური პულტით მართვადი ვერტიკალური ბარიერები და პარკში მდებარე ორი საპირფარეშო. ვინაიდან აწჰესის ტერიტორია წარმოადგენს ტურისტულად აქტიურ ადგილს, დასახელებული ობიექტების შემდგომი მოვლაშენახვისა და მისი გამართულად ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია აღნიშნული ქონება 5 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს შპს შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრს". კერძოდ: სოფელ ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე, აჭარულ ღვინის სახლთან, ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს არსებული ავტოსადგომი, რომელიც რეგისტრირებულია ორ ნაკვეთად (ს/კ 21.01.37.471. 1220 კვ. მეტრი; ს/კ 21.01.37.519 და პარკში არსებული ორი საპირფარეშო (ს/კ 21.01.37.327. N1 საპირფარეშო 49,92 კვ. მეტრი, საბალანსო ღირებულება 33 253,14 ლარი, N2 საპირფარეშო 8,3 კვ. მეტრი, საბალანსო ღირებულება 11 471,54 ლარი, ასევე სოფელ დანდალოში, ისტორიულ თაღოვან ხიდთან არსებული 702 კვ მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.09.34.236) არსებული N1 შენობა - 43,2 კვ. მეტრი და N2 შენობა 21,06 კვ (შემოსული დოკუმენტი №33/04 16.04.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №13).

7. მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების" თითოეულ აღსაზრდელზე განკუთვნილი სურსათის პროდუქტების მათზე გაცემის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების" თითოეულ აღსაზრდელზე განკუთვნილი სურსათის პროდუქტების მათზე გაცემის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელიც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ს" მიერ შესყიდული სურსათის პროდუქტების (გარდა მალეფუჭებადი პროდუქტის) ბაგა-ბაღის აღსაზრდელებზე უსასყიდლოდ გაცემისათვის სათანადო ღონისძიებების გატარებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ს" მიერ სრულად არის შესყიდული მიმდინარე წლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მომსახურება. შესაბამისად, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე დახმარების გაწევის მიზნით, უსასყიდლოდ შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდული სურსათის პროდუქტების (გარდა მალეფუჭებადი პროდუქტის) გაცემა საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში (შემოსული დოკუმენტი №36/04 28.04.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება №14).

8. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის წლიური შესრულების შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი №24/04 28.02.2020 წ.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №15).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 14:20 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**